სტრასბურგი/პარიზი 23 ივნისი 2010

გადამუშავებული რეკომენდაციები უცხოური კვალიფიკაციების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ

(მიღებულია ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის მეხუთე შეხვედრაზე; სევრესი, საფრანგეთი)

IV გენერალური დირექტორატი: განათლება, კულტურა და მემკვიდრეობა, ახალგაზრდობა და სპორტი (სკოლების, სკოლის გარეშედა უმაღლესი განათლების დირექტორატი /უმაღლესი განათლებისა და კვლევების განყოფილება) და იუნესკოს უმაღლესი განათლების განყოფილება

გადამუშავებული რეკომენდაციები უცხოური კვალიფიკაციების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ

(მიღებულია ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის მეხუთე შეხვედრაზე; სევრესი, 23 ივნისი 2010)

წინასიტყვაობა

ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციის კომიტეტი:

იღებს რა მხედველობაში, რომ ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიზანია წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და ამ მიზნისკენ სვლა შესაძლებელია კულტურის საკითხებში ერთობლივი საქმიანობით;

ითვალისწინებს რა ევროსაბჭოს/იუნესკოს ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციას;

ითვალისწინებს რა ევროპის კულტურის კონვენციას;

ითვალისწინებს რა ევროპულ კონვენციებს: №15 უნივერსიტეტში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ექვივალენტობის შესახებ, №21 საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ექვივალენტობის შესახებ, №32 საუნივერსიტეტო კვალიფიკაციების აკადემიური ცნობის შესახებ; №49 ოქმს უნივერსიტეტში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ექვივალენტობის შესახებ და №138 ოქმს საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ზოგადი ექვივალენტობის შესახებ, ისევე როგორც №69 ევროპულ შეთანხმებას სტუდენტური გრანტების პორტატულობის შესახებ;

ითვალისწინებს რა იუნესკოს კონვენციას ევროპის რეგიონის ქვეყნებში უმაღლეს განათლებაში სწავლის პერიოდის, დიპლომებისა და ხარისხების აღიარების შესახებ და კონვენციაზე ხელმომწერებს;

ითვალისწინებს რა ორ დეკლარაციას: გენერალური დეკლარაცია ექვივალენტობის შესახებ ევროპაში და დეკლარაცია №15 ევროპული კონვენციის გამოყენების შესახებ;

ითვალისწინებს რა ევროპის განათლების მინისტრების ბოლობიის 1999 წლის 19 ივნისის დეკლარაციას და შემდგომი მინისტერიალების კომუნიკეებს;

ითვალისწინებს რა ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ ერთობლივად შემუშავებულ დიპლომის დანართს, იუნესკო/ევროსაბჭოს დოკუმენტს “ტრანსნაციონალური განათლების განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კოდექსს”, რეკომენდაციებს ერთობლივი ხარისხების აღიარების შესახებ, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოებს;

ითვალისწინებს რა ევროსაბჭო/იუნესკოს აკადემიური აღიარებისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელის (ENIC) მიერ განხორციელებულ საქმიანობას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების გაუჯობესებათან დაკავშირებით;

იღებს რა მხედველობაში, რომ ევროსაბჭო და იუნესკო ყოველთვის ხელს უწყობენ აკადემიურ მობილობას, როგორც სხვადასხვა კულტურისა და ენების უკეთ გაგების საშუალებას და რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური ან სექსუალური დისკრიმინაციის გარეშე;

იღებს რა მხედველობაში, რომ უცხო ქვეყანაში სწავლა ან მუშაობა ხელს უწყობს

პიროვნების კულტურულ და აკადემიურ განვითარებას, ისევე როგორც აუმჯობესებს პირის კარიერული ზრდის პერსპექტივას;

იღებს რა მხედველობაში, რომ კვალიფიკაციების აღიარება არის არსებითი წინაპირობა აკადემიური და პროფესიული მობილობისათვის;

რეკომენდაციას აძლევს ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციის (შემდგომში ლისაბონის აღიარების კონვენცია) მონაწილე ქვეყნების მთავრობებს:

I. აღიარების პოლიტიკის ჩამოყალიბებისას გაითვალისწინოს ქვემოთმოცემულ დანართში ჩამოყალიბებული პრინციპები;

II. აღნიშნულ პრინციპებზე ყურადღება მიაპყრობინოს აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოებს, რათა მათ მხედველობაში მიიღონ და გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციების თავიანთ საქმიანობაში;

III. ხელი შეუწყოს ამ პრინციპების განხორციელებას სამთავრობო სააგენტოების, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისა და ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მათი ავტონომიის ფარგლებში;

IV. უზრუნველყოს ამ რეკომენდაციების ფართო გავრცელება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებულ ყველა პირსა და სააგენტოს შორის.

მოუწოდებს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს და იუნესკოს გენერალურ დირექტორს გადაუგზავნოს წინამდებარე რეკომენდაციები იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც მოწვეულნი იყვნენე ლისაბონის აღიარების კონვენციის მიღების დიპლომატიურ კონფერენციაზე, მაგრამ არ გახდნენ აღნიშნული კონვენციის მხარეები.

გადამუშავებული რეკომენდაციები უცხოური კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ

I. ზოგადი მოსაზრებები

წინამდებარე რეკომენდაციები მიღებულია ლისაბონის აღიარების კონვენციის ფარგლებში და შეეხება კონვენციის მონაწილე მხარეებს. მიუხედავად ამისა, რეკომენდაციაში მოცემული პრინციპები და გამოცდილება შეიძლება თანაბრად გამოყენებულ იქნეს ასევე ტრანსნაციონალური განათლების პირობებში გაცემული კვალიფიკაციების ან ერთობლივი ხარისხების ან იმ ქვეყნებში გაცემული კვალიფიკაციების აღიარებისას, რომლებიც არ არიან კონვენციის მონაწილე მხარეები.

2. რეკომენდაცია ახდენს აღიარების უფლებამოსილ ორგანოებში უკვე ჩამოყალიბებული საუკეთესო გამოცდილების კოდიფიცირებას და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით იძლევა შემდგომი გაუმჯობესების წინადადებებს. რეკომენდაციის დებულებები განსაკუთრებით ორიენტირებულია იმ შემთხვევებზე, სადაც აღიარებისათვის კომპლექსური შეფასებაა საჭირო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი შემთხვევისთვის უფრო მარტივი გზაც არსებობს.

II. განსაზღვრებები

3. წინამდებარე რეკომენდაციები იყენებს ლისაბონის აღიარების კონვენციით განსაზღვრულ ტერმინებს და ამ ტერმინების განსაზღვრებისას იმოწმებს კონვენციის I განყოფილებას. დებულებები, რომელიც ეხება აღიარების უფლებამოსილ ორგანოებს, გამოიყენება mutatis mutandis [1] უცხო ქვეყნის კვალიფიკაციის აღიარებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ან პირების მიმართ და ასევე იმ დებულებების მიმართ, რომელიც შეეხება ინფორმაციას კვალიფიკაციებისა და აღიარების შესახებ. ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ტერმინები განსაზღვრულია იუნესკო/ევროსაბჭოს ტრანსნაციონალური განათლების განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კოდექსში. ტერმინები, რომელიც შეეხება ერთობლივ ხარისხებს განსაზღვრულია ერთობლივი ხარისხების აღიარების რეკომენდაციებში.

III. ზოგადი პრინციპები

4. უცხოური კვალიფიკაციის მფლობელს თავისი მოთხოვნის შესაბამისად უნდა ქონდეს უფლება მიიღოს თავისი კვალიფიკაციის შეფასება.

5. უცხოური კვალიფიკაციების შეფასებასთან დაკავშირებული დებულებები სწავლის პერიოდის შესაფასებლად გამოიყენება *mutatis mutandis.*

6. უცხოური კვალიფიკაციების შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები უნდა იყოს გამჭვირვალე, თანამიმდევრული და სანდო; უფრო მეტი გამჭვირვალობის მიზნით პერიოდულად უნდა ხდებოდეს მათი გადახედვა, განათლების სფეროში განვითარებისა და პროცედურებში არასასურველი გართულებების მომტანი მოთხოვნების აღმოფხვრის გათვალისწინებით.

7. უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული უცხოური კვალიფიკაციების შეფასებისას საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა უნდა გამოვიყენოთ მოქნილად, რათა შესაძლებელი გახდეს აღიარება. იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე რეკომენდაციებთან ქვეყნებს მოვუწოდებთ განიხილონ ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა.

[1] საჭირო/შესაბამისი ცვლილებებით

8. როდესაც, კონკრეტული შემთხვევის საფუძვლიანი განხილვის შემდეგ, აღიარების უფლებამოსილი ორგანო დაადგენს, რომ აღიარება ვერ გაიცემა განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, მაშინ, იქ სადაც შესაძლებელია, უნდა განიხილოს ალტერნატიული ან ნაწილობრივი აღიარება.

9. ყველა შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება განსხვავდება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი აღიარებისგან, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია რაიმე სახის აღიარება, აღიარების უფლებამოსილმა ორგანომ განმცხადებელს უნდა აცნობოს გადაწყვეტილების მიზეზი ან გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობები.

10. ამ რეკომენდაციებში მოცემული შეფასების კრიტერიუმები შემუშავდა იმ თვალსაზრისით, რომ გაეზარდა უცხოური კვალიფიკაციების შეფასების პროცედურებისა და კრიტერიუმების გამოყენების თანამიმდევრულობა და ამით უზრუნველეყო კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ აღიარების მსგავსი შემთხვევების განიხილვა გონივრულად მსგავსი გზით. ამასთან, ვაცნობიერებთ, რომ აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია მოქნილობა და ეს გადაწყვეტილებები გარკვეულწილად განსხვავებული იქნება განათლების ეროვნული სისტემების მიხედვით.

11. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული საპროცედურო რეკომენდაციების მიზანია შეფასების პროცედურების მეტი თანამიმდევრულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ასევე, ყველა განმცხადებლის დარწმუნება იმაში, რომ მათი განაცხადები სამართლიანად იქნება განხილული. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ თანაბრად მოქმედებს(ვალიდურია), მიუხედავად იმისა თუ რა შედეგი მოყვება შეფასებას:

(i) აღიარების გადაწყვეტილება

(ii) რჩევა აღიარების უფლებამოსილ ორგანოს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით

(iii) მიმართვა პირ(ებ)ს, ინსტიტუციას/(ებს), პოტენციურ დამსაქმებელ(ებ)ს ან სხვებს.

რეკომენდირებულია, რომ განმცხადებელს ქონდეს მისი შემთხვევის შესაბამის შეფასებაზე ხელმისაწვდომობა.

12. მაშინ, როცა შეფასების მიზანია განმცხადებლის უცხოური კვალიფიკაციის ხარისხობრივი შეფასება, ასევე გაცნობიერებულია, რომ გარკვეულწილად რაოდენობრივი მაჩვენებლებიც უნდა გამოვიყენოთ. ამასთან, მათი გამოყენება უნდა შეიზღუდოს იმ შემთხვევებით, სადაც რაოდენობრივი კრიტერიუმები ხარისხის შესაბამისია და შეიძლება დაემატოს ხარისხობრივ კრიტერიუმებს.

13. შეფასებამ ეს უნდა გაითვალისწინოს ის დოკუმენტები, სადაც სწავლის შედეგები ნათლადაა დოკუმენტირებული, მაგალითად, ევროკომისიის / ევროპის საბჭო / UNESCO დიპლომის დანართი, ან შესადარ დოკუმენტები.

IV. შეფასების პროცედურები

ინფორმაცია განმცხადებლისათვის

14. უფლებამოსილმა ორგანომ ყველა განმცხადებელს უნდა დაუდასტუროს განაცხადის მიღება;

15. უფლებამოსილმა ორგანომ უნდა გამოაქვეყნოს სტანდარტიზებული ინფორმაცია უმაღლეს განათლებაში უცხოური კვალიფიკაციების შეფასების პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ. ეს ინფორმაცია ავტომატურად უნდა გადაეცეს ყველა განმცხადებელს, ისევე როგორც იმ პირებს, რომლებიც წინასწარ ეძებენ ინფორმაციას თავიანთი კვალიფიკაციების შეფასებასთან დაკავშირებით.

16. ვადა, რომელიც ჩვეულებრივად საჭიროა აღიარების განცხადების დამუშავებისათვის აითვლება იქიდან, როცა მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია მოწოდებულია განმცხადებლის და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ. იმ შემთხვევაში, როცა განცხადების განხილვა ჭიანურდება განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაგვიანების მიზეზი და თარიღი, როდესაც გადაწყვეტილების მიღებაა მოსალოდნელი. განცხადებები უნდა დამუშავდეს უმოკლეს ვადაში და ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს.

17. უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მისცეს რჩევები პირებს, რომლებსაც აქვთ შეკითხვები აღიარებასთან დაკავშირებული ფორმალური განაცხადის წარდგენის პროცედურებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით ან თავიანთი უცხოური კვალიფიკაციების შეფასებასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, პირის ინტერესების შესაბამისად, რჩევა შეიძლება მიეცეს, როგორც კვალიფიკაციის შეფასების პროცესში, ასევე ამ პროცესის შემდეგ.

18. უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეადგინოს აღიარების ტიპური შემთხვევების ნუსხა/აღწერა ან/და სხვა საგანმანათლებლო სისტემების ან კვალიფიკაციების შედარებითი მიმოხილვა თავისი ქვეყნის კვალიფიკაციებთან მიმართებაში, რაც ხელს შეუწყობს აღიარების თანამიმდევრული გადაწყვეტილებების მიღებას. მათ ასევე შეიძლება განიხილონ ამ ინფორმაციის განმცხადებლისთვის მიწოდების საკითხიც იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია იქნება მხოლოდ ინდიკატური გზამკვლევი და თითოეული განცხადება ინდივიდუალური საფუძვლით განიხილება.

ინფორმაცია კვალიფიკაციაზე, რომლისთვისაც ხდება აღიარების ძიება

19. როგორც ლისაბონის აღიარების კონვენციაში და კერძოდ, III.3 და III.4 მუხლებშია მითითებული საძიებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია განმცხადებელს, ამ კვალიფიკაციის გამცემ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და შეფასების განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს შორის. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გასცენ დიპლომის დანართი, რათა ხელი შეუწყონ კვალიფიკაციის აღიარების პროცესს.

20. იმ შემთხვევაში სადაც ლტოლვილები, ლტოლვილთან გათანაბრებული პირები ან სხვა პირები სერიოზული მიზეზებით ვერ ახდენენ თავიანთი კვალიფიკაციების დოკუმენტებით დადასტურებას, აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეიმუშავოს და გამოიყენოს ე. წ. "საბაზო დოკუმენტი", რათა მიმოიხილოს კვალიფიკაცია ან სწავლის პერიოდი, რომელზეც განმცხადებელს აქვს პრეტენზია, ყველა შესაძლებელი დოკუმენტითა და დამხმარე მტკიცებულებებით.

განაცხადის განხილვის საფასური

21. აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა განიხილოს შესაძლებელია თუ არა უცხოური კვალიფიკაციების აღიარების, როგორც საჯარო სერვისის უფასოდ განხორციელება. სადაც ეს არაა შესაძლებელი, საფასური უნდა იყოს რაც შეიძლება დაბალი და არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ ის გახდეს დაბრკოლება კვალიფიკაციების აღიარების გზაზე.

22. საფასურის ოდენობის დადგენისას შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში ცხოვრების ხარჯებს, ხელფასის დონესა და სტუდენტების დახმარების სისტემას. სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის, რათა საფასურის გამო არცერთ განმცხადებელს არ შეექმნას დაბრკოლება კვალიფიკაციის აღიარებისათვის.

თარგმნა

23. დოკუმენტების თარგმნის საკითხი განხილულ უნდა იქნეს ყურადღებით და ზუსტად უნდა განისაზღვროს უფლებამოსილი/ავტორიზებული პირის მიერ ნათარგმნი დოკუმენტების მოთხოვნა. განხილულ უნდა იქნეს თარგმნის მოთხოვნის მხოლოდ ძირითად დოკუმენტებზე გავრცელების საკითხი და უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრული ზოგიერთი უცხოური

ენებისათვის დოკუმენტების თარგმნის გარეშე მიღების შესაძლებლობა. მონაწილე ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია გადახედონ იმ კანონმდებლობას, რომელიც ხელს უშლის დოკუმენტების მიღებას არასახელმწიფო ენაზე, თარგმნის გარეშე. დიპლომის დანართის გამოყენებამ (სადაც ეს შესაძლებელია) უნდა შეამციროს ძირითადი დოკუმენტების თარგმნის საჭიროება.

24. როგორც წესი უცხოური კვალიფიკაციების წოდებები მითითებულია ორიგინალის ენაზე თარგმნის გარეშე.

დოკუმენტების ავთენტურობის შემოწმება/ვერიფიკაცია

25. ყალბი დოკუმენტების არსებობის გამო მნიშვნელოვანია დოკუმენტების ავთენტურობის შემოწმება. შემოწმება მიზნად ისახავს გაარკვიოს:

(i) ნამდვილია თუ არა განსახილველი დოკუმენტი, მაგ., დოკუმენტი გაცემულია დოკუმენტში მითითებული ინსტიტუციის მიერ და შემდგომში დოკუმენტში არ იქნა შეტანილი არამართლზომიერი ცვლილებები განმცხადებლის ან სხვის მიერ;

(ii) კანონიერად გაიცა თუ არა განსახილველი დოკუმენტი განმცხადებელზე.

26. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ავთენტურობის დადგენის საჭიროება, როგორც შეფასების პროცედურის ნაწილი, ძალიან რეალურია, ეს საჭიროება უნდა დაბალანსდეს განმცხადებელის ვალდებულებებთან მიმართებაში. პროცედურის საბაზო წესებმა უნდა ივარაუდოს, რომ განმცხადებელთა უმეტესობა პატიოსანია, მაგრამ მათ საშუალება უნდა მისცენ აღიარების უფლებამოსილ ორგანოს, რომ მოითხოვოს ავთენტურობის უფრო ძლიერი მტკიცებულება იქ სადაც არსებობს ეჭვი, რომ დოკუმენტი გაყალბებულია. მაშინ როდესაც უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური დოკუმენტის სერტიფიცირებული ასლი საკმარისია, აღიარების უფლებამოსილ ორგანოს უნდა შეეძლოს დოკუმენტის ორიგინალის მოთხოვნა, როდესაც ეს აუცილებელია ყალბი დოკუმენტის გამოვლენის ან პრევენციის მიზნით.

27. ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ითალისწინებს ზედმეტად გართულებულ და ძვირადღირებულ ავთენტურობის პროცედურებს, როგორიცაა ყველა დოკუმენტის სრული ლეგალიზაცია. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები აადვილებს დოკუმენტების ავთენტურობის გადამოწმებას ნაკლებად რთული გზებით და აღიარების უფლებამოსილ ორგანოებსა და უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებს ეძლევათ რეკომენდაცია მოახდინონ სწრაფი და პოზიტიური რეაგირება იმ დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის პირდაპირ მოთხოვნაზე, რომლებიც მათ მიერ გაცემულად ითვლება.

28. ლტოლვილების, ადგილნაცვალი პირებისა და სხვა პირების შემთხვევაში, რომლებიც სერიოზული მიზეზით და დიდი ძალისხმევის მიუხედავად დოკუმენტურად ვერ ადასტურებენ მათ მიერ მითითებულ კვალიფიკაციას, განხილულ უნდა იქნეს ამ კვალიფიკაციების აღიარების ალტერნატიული გზების პოვნის შესაძლებლობა. მაგალითად, სწავლის შედეგების გაზომვა, რომლის მოლოდინიც უნდა გვქონდეს არადოკუმენტირებული კვალიფიკაციისაგან. ეს ზომები უნდა მიესადაგოს აღიარების განაცხადის პირობებს და შეიძლება მოიცავდეს ჩვეულებრივ ან სპეციალურად ორგანიზებულ გამოცდებს, ინტერვიუირებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან/და აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოს პერსონალთან და სამართლებრივად უფლებამოსილ სხვა ორგანოსთან.

V. შეფასების კრიტერიუმები

ინსტიტუციის სტატუსი

29. უმაღლესი განათლების დაწესებულებების დიდი მრავალფეროვნებისა და ტრანსნაციონალური განათლების განვითარების გამო კვალიფიკაციის სტატუსის დადგენა შეუძლებელია კვალიფიკაციის გამცემი ინსტიტუციის და/ან საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის გათვალისწინების გარეშე.

30. აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა დაადგინოს მიეკუთვნება თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ლისაბონის კონვენციის მონაწილე მხარეს ან/და ევროპის რეგიონს. იმ შემთხვევაში თუ კვალიფიკაცია გაცემულია ტრანსნაციონალური შეთანხმების ფარგლებში შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, მაშინ უფლებამოსილმა ორგანომ ეს შეთანხმება უნდა გააანალიზოს იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულია იუნესკო/ევროსაბჭოს "ტრანსნაციონალური განათლების განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კოდექსსა" და "ერთობლივი ხარისხების აღიარების რეკომენდაციებში".

31. იმ ქვეყნებისთვის სადაც ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალური შეფასების სისტემა, აღიარების უფლებამოსილმა ორგანომ ამ სისტემების კვალიფიკაციების აღიარებისას შესაბამისი ყურადღება უნდა მიაქციოს პროცესის შედეგებს.

ინდივიდუალური კვალიფიკაციის შეფასება

32. უცხოური კვალიფიკაციის აღიარების ძიება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით. შეფასებამ შესაბამისი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მიზან(ებ)ს, რისთვისაც ხდება აღიარების ძიება და აღიარების დოკუმენტმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს თუ რა მიზნ(ებ)ისთვისაა ვარგისი/ვალიდური ეს აღიარება.

33. შეფასების განხორციელებამდე, უფლებამოსილმა ორგანომ უნდა დაადგინოს თუ რომელი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტებია რელევანტური მოცემული შემთხვევისთვის. ხომ არ მოითხოვს ის სპეციფიკურ გადაწყვეტილებას თუ ჩვეული პროცედურით უნდა განხორციელდეს შეფასება.

34. შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს მსგავსი შემთხვევებისათვის არსებული გამოცდილება, რათა აღიარების პრაქტიკაში უზრუნველყოს თანამიმდევრულობა. არსებული გამოცდილება უნდა იყოს გზამკვლევი და ამ გამოცდილებაში შეტანილი ნებისმიერი არსებითი ცვლილება უნდა იყოს დასაბუთებული.

35. უცხოური კვალიფიკაციების აღიარებისას იმ ქვეყნის განათლების სისტემაში, სადაც ხდება აღიარების ძიება უნდა მოხდეს ისეთი კვალიფიკაციის იდენტიფიცირება, რომლიც არის უცხოური კვალიფიკაციის შესადარისი და იმ მიზნის გათვალისწინებით რისთვისაც ხდება აღიარების ძიება. განათლების უცხოურ სისტემას მიკუთვნებულ კვალიფიკაციასთან მიმართებაში კი შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს მისი ადგილი და ფუნქცია იმავე სისტემის კვალიფიკაციებს შორის. იქ სადაც შესაძლებელია, აღიარების უფლებამოსილი ორგანომ, როგორც შეფასების პროცესის ნაწილი, ასევე უნდა დაიმოწმოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოები და სხვა მსგავსი კვალიფიკაციების ჩარჩოები.

36. დაახლოებით თანაბარი დონის კვალიფიკაციებმა შეიძლება დაგვანახოს განსხვავებები შინაარსთან, პროფილთან, ხარისხთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში. უცხოური კვალიფიკაციების შეფასებისას ეს განსხვავებები უნდა განვიხილოთ მოქნილი მიდგომით და მხოლოდ აღიარების მიზნებისათვის არსებულმა საფუძვლიანმა განსხვავებამ შეიძლება მიგვიყვანოს ნაწილობრივ აღიარებამდე (მაგ., აკადემიური ან დეფაქტო პროფესიული აღიარება) ან უცხოური კვალიფიკაციის არ-აღიარებამდე.

37. უცხოური კვალიფიკაციების აღიარება უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხავებების ჩვენება აღიარების მაძიებელ უცხოურ კვალიფიკაციასა და იმ ქვეყნის კვალიფიკაციას შორის სადაც ხდება აღიარების ძიება. ამ პრინციპების გამოყენებით შეფასებამ უნდა დაადგინოს:

ა) არის თუ არა აღიარების მაძიებელ უცხოურ კვალიფიკაციისა და მიმღები ქვეყნის(სადაც ხდება აღიარების ძიება) რელევანტურ კვალიფიკაციის სწავლის შედეგებს შორის განსხვავება იმდენად საფუძვლიანი, რომ არ იძლევა განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისი აღიარების

შესაძლებლობას. თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული, ნაწილობრივი ან/და პირობითი აღიარების გაცემა.

(ბ) არის თუ არა აღიარების მაძიებელი უცხოური კვალიფიკაციისა და მიმღები ქვეყნის(სადაც ხდება აღიარების ძიება) რელევანტური კვალიფიკაციის შემდგომ საქმიანობაზე დაშვების (როგორიცაა, შემდგომი სწავლა, კვლევითი საქმიანობა და ხელსაყრელი დასაქმება) პირობებს შორის განსხვავება იმდენად საფუძვლიანი, რომ ის არ იძლევა განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისი აღიარების საშუალებას. თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული, ნაწილობრივი ან/და პირობითი აღიარების გაცემა.

(გ) არის თუ არა კვალიფიკაციის გამცემი პროგრამის/(ების) და მიმღები ქვეყნის(სადაც ხდება აღიარების ძიება) რელევანტური კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრმის(ების) ძირითად ელემენტებს შორის განსხვავება იმდენად საფუძვლიანი, რომ ის არ იძლევა განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისი აღიარების საშუალებას. თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული, ნაწილობრივი ან/და პირობითი აღიარების გაცემა. პროგრამის ელემენტების შესადარობა უნდა გაანალიზდეს მხოლოდ სწავლის შედეგების შესადარობისა და განათლების შემდგომი საქმიანობაზე დაშვების თვალსაზრისით და არა როგორც აუცილებელი პირობა მისი საკუთარი უფლებებით აღიარებისათვის.

(დ) უფლებამოსილმა ორგანომ შეძლო თუ არა იმის დოკუმენტირება, რომ კვალიფიკაციის გამცემი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და ინსტიტუციის ხარისხი იმდენად საფუძვლიანად განსხვავდება მიმღები ქვეყნის(სადაც ხდება აღიარების ძიება) მსგავსი კვალიფიკაციის გამცემი პროგრამისა ან/და ინსტიტუციის ხარისხიგან, რომ ის არ იძლევა განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისი აღიარების საშუალებას. თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ შეფასებამ უნდა დაადგინოს შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული, ნაწილობრივი ან/და პირობითი აღიარების გაცემა.

38. იქ სადაც უცხოურ კვალიფიკაციას თან ახლავს ფორმალური უფლება თავის ქვეყანაში, კვალიფიკაცია შეიძლება შეფასდეს მისი მფლობელისათვის მიმღებ ქვეყანაში მსგავსი ფორმალური უფლების მიცემის თვალსაზრისითაც, იმდენად რამდენადაც ეს უფლება არსებობს და ის წარმოიქმნება კვალიფიკაციით დამოწმებული სწავლის შედეგებიდან.

39. წლების წინ ან/და უმაღლესი განათლების ძველი სტრუქტურის პირობებში გაცემული კვალიფიკაციების აღიარება არის განსხვავებული ტიპის გამოწვევა აღიარებისათვის. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

(ა) რამდენადაა მოძველებული კვალიფიკაცია, დამოკიდებულია განათლების შესაბამის სფეროზე, ისევე როგორც კვალიფიკაციის მიღების შემდეგ განმცხადებლის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;

(ბ) იქ სადაც კვალიფიკაციები გაცემულია ძველი/წინა სტრუქტურის პირობებში, აღიარების უფლებამოსილი ორგანომ უნდა დაიმოწმოს კვალიფიკაციის მიმდინარე სტატუსი მის გამცემ ქვეყანაში. თუ გამცემ ქვეყანაში არსებობს კვალიფიკაციების ჩარჩო, მაშინ უნდა გაირკვეს წინა კვალიფიკაციები ჩართულია თუ არა მასში.

(გ) საზოგადოდ, ძველი, უცხოური კვალიფიკაციების აღიარება უნდა განხორციელდეს აღიარების განმახორციელებელი ქვეყნის მსგავსი კავლიფიკაციების შესაბამისად და აღიარების ძიების მიზნის გათვალისწინებით. ძველი კვალიფიკაციებისათვის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კომპენსაცია.

40. აღიარების უფლებამოსილმა ორგანომ ფოკუსირება უნდა მოახდინოს სწავლის შედეგებზე, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე და მისი ხანგრძლივობა განიხილოს მხოლოდ, როგორც პროგრამის მიღწევის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელი. შეფასების პროცესმა უნდა დაუშვას ის შემთხვევები, რომ წინმსწრები განათლება, კრედიტების ტრანსფერი, უმაღლეს განათლებში დაშვების სხვადასხვა ფორმები, ერთობლივი ხარისხები და მთელი ცხოვრების მანძილზე

სწავლა, ამცირებს ზოგიერთი აკადემიური კვალიფიკაციის მიღწევის ხანგრძლივობას სწავლის შედეგების შემცირების გარეშე და უარი აღიარების გაცემაზე არ შეიძლება მოტივირებული იყოს მხოლოდ ხანგრძლივობით.

41 უცხოური კვალიფიკაციის შეფასება ფოკუსირებული უნდა იყოს კვალიფიკაციაზე, რომლისთვისაც ხორციელდება აღირების ძიება. განათლების წინა დონეები განიხილება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ აქვთ სერიოზული კავშირი შესაფასებელ სწავლის შედეგთან და რამდენადაც შესაძლებელია, ის უნდა შეიმოიფარგლოს აღიარების მიზნებისათვის წარდგენილი კვალიფიკაციის წინმსწრები კვალიფიკაციით.

42. შეფასების განხორციელებისას აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ, მისმა პერსონალმა უნდა გამოიყენოს ცოდნა და საუკეთესო პროფესიული უნარები და ყურადღება მიაქციოს შესაბამის გამოქვეყნებულ ლიტერატურას. იქ სადაც ხელმისაწვდომია ადეკვატური ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ, შეფასებისას მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა კვალიფიკაციის გამცემ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში.

VI. შეფასების შედეგები

43 ეროვნულ კანონმდებლობასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცხოური კვალიფიკაციის შეფასების შედეგმა შეიძლება მიიღოს შემდეგი ფორმა:

(ა) აღიარების გადაწყვეტილება;

(ბ) რეკომენდაცია სხვა ინსტიტუციას, რომელიც მიიღებს აღიარების გადაწყვეტილებას;

(გ) მიმართვა განმცხადებელს, ან ვისაც ეს შეეხება, (მაგ., არსებული ან პერსპექტიული დამსაქმებელი, უსდ და ა.შ), რომელიც იძლევა უცხოური კვალიფიკაციის შედარებას იმ ქვეყნის მსგავს კვალიფიკაციასთან, სადაც ხდება აღიარების ძიება, აღიარების ფორმალური გადაწყვეტილების გარეშე;

(დ) განმცხადებლისთვის მიცემული ნებისმიერი სხვა რეკომენდაცია.

განმცხადებელი უნდა იყოს ინფორმირებული მისი კვალიფიკაციის შეფასების სტატუსის შესახებ.

44. თუ განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამი აღიარება არ გაიცემა, მაშინ აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო უნდა დაეხმაროს განმცხადებელს ნაკლოვანებების დაძლევის იმ ზომების იდენტიფიცირებაში, რომელიც შეიძლება განახორციელოს განმცხადებელმა, რათა მომავალში მიიღოს აღიარება.

განმარტებითი მემორანდუმი
გადამუშავებული რეკომენდაციები უცხოური კვალიფიკაციების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ

პრეამბულა

პრეამბულა ეფუძნება ევროსაბჭოსა და იუნესკოს(იმ შემთხვევაში როდესაც ის შეეხება ევროპის რეგიონს) ფარგლებში შემუშავებულ და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებულ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა "ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციას", რომელიც ერთობლივად შემუშავდა ორივე ორგანიზაციის მიერ და მიღებულ იქნა 1997 წლის 11 აპრილს. ეს კონვენცია ძალაში შევიდა 1999 წლის 1 თებერვალს. პრეამბულა ასევე ეფუძნება კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარების საკითხებში ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვან განვითარებას, რაც მოიცავს ENIC/NARIC-ის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულ საქმიანობას "საფუძვლიან განსხვავებასთან" დაკავშირებით და ბოლონიის სამუშაო ჯგუფისთვის მომზადებულ ანგარიშს: "2007 წლის აღიარების ეროვნული სამოქმედო გეგმების ანალიზის თაობაზე"(2008). ტრანსნაციონალური შეთანხმების საფუძველზე გაცემულ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით პრეამბულა ეფუძნება იუნესკო/ევროსაბჭოს "ტრანსნაციონალური განათლების განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კოდექსს", ისევე როგორც ერთობლივი ხარისხების აღიარების რეკომენდაციას.

I ზოგადი მოსაზრებები

პარაგრაფები 1-2

რეკომენდაციის მიზნებისათვის ტერმინი "აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო" მოიცავს ერთ ან მეტს ქვემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებას:

(i) ეროვნული საინფორმაციო ცენტრები;

(ii) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

(iii) სხვა ორგანოები, სააგენტოები ან საგანმანათლებლო დოკუმენტების შემფასებლები, რომლებიც ახორციელებენ უცხოური კვალიფიკაციების შეფასებას ან/და აღიარებას.

III. ზოგადი პრინციპები

პარაგრაფები 4 - 11

რეკომენდაცია მკაფიოდ უსვამს ხაზს განმცხადებლის უფლებას მოითხოვოს თავისი უცხოური კვალიფიკაციის შეფასება გამჭვირვალე, თანამიმდევრული და სანდო პროცედურებითა და კრიტერიუმებით.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოები უნდა ისწრაფვოდნენ განმცხადებლის უცხოური კვალიფიკაციის აღიარებისაკენ. სადაც ეს არაა შესაძლებელი, რეკომენდაცია მოუწოდებს უფლებამოსილ ორგანოებს განიხილოს აღიარების ალტერნატიული ფორმები. ალტერნატიული აღიარება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

(i) უცხოური კვალიფიკაციის აღიარება მიმღები ქვეყნის შესადარ კვალიფიკაციად, მიუხედვად იმისა, რომ ის არ იყო აღნიშნული განმცხადებლის მიერ;

(ii) უცხოური კვალიფიკაციის ნაწილობრივი აღიარება;

(iii) უცხოური კვალიფიკაციის სრული ან ნაწილობრივი აღიარება, რომელიც ექვემდებარება განმცხადებლის მიერ დამატებითი გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, შემდგომი სწავლის მზაობის/უნარების ტესტს ან სხვა საკომპენსაციო ზომებს;

(iv) უცხოური კვალიფიკაციის სრული ან ნაწილობრივი აღიარება აპრობაციიის პერიოდის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია დაექვემდებაროს განსაზღვრულ პირობებს.

ნაწილობრივი აღიარება ან სპეციფიკურ პირობებს დაქვემდებარებული აღიარება არ ნიშნავს ავტომატურად დაშვების უფლებას იმ სასწავლო კურს(ებ)ზე, რომელიც

დაეხმარება განმცხადებელს ხარვეზების გამოსწორებასა და საბოლოო აღიარების მიღებაში. განაცხადი სრულად უნდა იქნეს უარყოფილი მაშინ, როცა აღიარების უფლებამოსილი ორგანო დაადგენს, რომ შეუძლებელია აღიარების ალტერნატიული ფორმით გაცემაც კი. უნდა გვახსოვდეს, რომ რიგ შემთხვევებში აღიარების არარსებობა შეიძლება იყოს "სამართლიანი აღიარების" მტკიცებულება ამ შემთხვევისთვის.

ENIC/NARIC-ის "საფუძვლიან განსხვავებაზე" მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნები და აღნიშნულ საკითხზე გამოცემული პუბლიკაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "საფუძვლიანი განსხვავების" ნორმატიულად განსაზღვრა არ შეიძლება, მაგრამ უფლებამოსილმა ორგანომ, იქ სადაც შესაძლებელია, მცდელობა არ უნდა დააკლოს და ლისაბონის აღიარების კონვენციის სულისკვეთების გათვალისწინებით, მოახდინოს აღიარებისათვის აუცილებელი რაციონალური საფუძვლის იდენტიფიცირება, "საფუძვლიანი განსხვავებისათვის" მიზეზების ძიების საპირისპიროდ.

იქ სადაც აღიარების გადაწყვეტილება განსხვავდება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილისგან, უფლებამოსილ ორგანოს აქვს სპეციალური ვალდებულება დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი და აცნობოს განმცხადებელს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია ორივე საკითხი ანუ განმცხადებელს მისცე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება, ისევე როგორც მისცე გამოსასწორებელი ზომების განხორციელების საშუალება იმ თვალსაზრისით, რომ მოგვიანებით შესაძლებელი იქნება აღიარების მიღება. ეს არანაირად არ უშლის ხელს უფლებამოსილ ორგანოებს განმარტოს აღიარების გაცემის მიზეზები.

პარაგრაფი 12

უცხოური კვალიფიკაციების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრისას არსებობს ჩვეული დილემა. მაშინ როცა შეფასების პროცესის მიზანია უცხოური კვალიფიკაცია შეაფასოს ხარისხობრივად, შეფასება ვერ განხორციელდება როგორც ხარისხობრივი ასევე გარკვეულწილად რაოდენობრივი კრიტერიუმების გარეშეც. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებეული კრიტერიუმების შერჩევა მოხდეს მათი შესაბამისობიდან გამომდინარე, როგორც აღიარების მაძიებელი კვალიფიკაციის ხარისხის უკეთ ჩვენებასთან მიმართებაში, ასვე განმცხადებლის მიერ საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობასთან მიმართებაშიც (მაგ., სწავლის გაგრძელება, კვლევა, დასაქმება). მაგალითად, მაღალი შედეგების(ქულები) მქონე სტუდენტები, შეიძლება განვიხილოთ სწავლისა და კარიერული ზრდისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე ადამიანებად, მაშინაც კი თუ აღიარებისათვის საძიებელი კვალიფიკაცია მიღებული აქვთ იმ საგანმანათლებლო სისტემაში ან ინსტიტუციაში, რომელსა მიმღები ქვეყანა განიხილავს მის სისტემასთან შედარებით უფრო დაბალი ხარისხის მქონე სისტემად. ამ შემთხვევაში, შეფასების შედეგები შეიძლება დამოკიდებული იყოს განმცხადებლის მიერ მითითებულ აღიარების მიზნებზე ანუ აღიარების ძიება ხდება სწავლის გაგრძელების თუ დასაქმების მიზნებისთვის. პირველ შემთხვევაში უფრო იოლია კვალიფიკაციის აღიარება, ვინაიდან განმცხადებელმა შეიძლება გაიუმჯობესოს კვალიფიკაცია და გამოავლინოს თავისი რეალური პოტენციალი სწავლის გაგრძელების შემდეგ. მეორე შემთხვევაში კი აღიარების გაცემა შეიძლება უფრო რთული იყოს, ვინაიდან კვალიფიკაცია არის საქმიანობის განხორციელების საფუძველი, მას შეიძლება პირდაპირი გავლენა ქონდეს მოქალაქეებზე და ამავდროულად, შრომის ბაზარზე საქმიანობის განხორციელებისას არ არსებობდეს კვალიფიკაციის (მიღწეული სწავლის შედეგების) გაუმჯობესების გარანტია.

არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება აღიარების გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ისეთ რაოდენობრივ მაჩვენებელზე დაყრდნობით როგორიცაა სწავლის ხანგრძლივობა, განმცხადებლის სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის ხარისხის შეფასების მცდელობის გარეშე. სწავლის შედეგები მიუთითებს სასწავლო პროცესის/სწავლება-სწავლის რეზულტატს და არა სწავლის ხანგრძლივობას. დრო, რომელიც ჭირდება ტიპურ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად განისაზღვრება არა მარტო გამოსამუშავებელი ცოდნისა და უნარების მოცულობით, არამედ იმ კონტექსტითაც, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი. გარკვეულწილად, რაოდენობრივ კრიტერიუმის მიხედვით

“საფუძვლიანი განსხვავება” შეიძლება განვიხილოთ, როგორც კვალიფიკაციის ხარისხში განსხვავების მითითება.

IV. შეფასების პროცედურები

პარაგრაფი 15

პარაგრაფი შეეხება ინფორმაციას, რომელიც ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრებმა და აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა მიაწოდონ განმცხადებლებს განცხადების მიღების შესახებ შესაბამის ცნობის გაცემის დროს. სტანდარტიზებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ელემენტებს:

(i) აღიარებისათვის მოთხოვნილი დოკუმენტები, მ.შ. მოთხოვნები დოკუმენტების ავთენტურობასა და ლეგალიზაციაზე;

(ii) შეფასების პროცესის აღწერა;

(iii) შეფასების კრიტერიუმების აღწერა;

(iv) აღიარების განცხადების სტატუსი;

(v) განცხადების განხილვის ვადები;

(vi) აღიარების საფასური;

(vii) უცხოური კვალიფიკაციების შეფასებისათვის შესაბამისი ეროვნულ კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების მითითება;

(viii) აღიარების გადაწყვეტილების გასაჩივრების პირობები და პროცედურები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

პრინციპში, აღიარების გადაწყვეტილება ღია უნდა იყოს გასაჩივრებისათვის და აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოს ვალდებულებაა განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია გასაჩივრების პირობებზე, მ.შ. ისეთ ფორმალურ ასპექტებზე, როგორიცაა გასაჩივრების ვადები. რეკომენდირებულია, რომ ინფორმაცია გასაჩივრების პროცესის შესახებ უკვე ასახული იყოს განცხადების ჩაბარების დამადასტურებელ ცნობაში. უფლებამოსილმა ორგანოებმა შეიძლება განმცხადებლს მოსთხოვოს ხელმოწერა, რომელიც დაადასტურებს განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მიღებასა და გასაჩივრების შესაძლებლობებისა და პროცედურების გაცნობას.

პარაგრაფი 16

აღიარების უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებაა დაადგინოს აღიარების განაცხადის განხილვის ვადები და აცნობოს განმცხადებელს გადავადების მიზეზები. მან ასვე უნდა დაადგინოს “ათვლის წერტილი” ვადის ასათვლელად; მაგ., თარიღი, როდესაც უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. შეფასება უნდა განხორციელდეს და დასრულდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი შეფასება, რომელიც 4 თვეზე მეტ ხანს გრძელდება სერიოზულად აფერხებს განმცხადებელს სწავლის გაგრძელების ან დასაქმებისაგან ან აიძულებს მას დამატებით შეისწავლოს კურსები, რათა დააკმაყოფილოს შეფასების მოთხოვნები, თუმცა შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უცხოური კვალიფიკაცია ისედაც აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. ოთხი თვე უნდა განვიხილოთ როგორც განაცხადის განხილვის ვადის მაქსიმუმი. იოლი საქმეები, როგორც წესი, უფრო სწარაფად განიხილება.

პარაგრაფი 18

აღიარების გადაწყვეტილებების თანამიმდევრულობა არის უცხოური კვალიფიკაციების აღიარების განაცხადებებისადმი გამჭვირვალე და მდგრადი/თანამიმდევრული დამოკიდებულების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტი. არასწორია, თუ მსგავსი შემთხვევები განხილული იქნება განსხვავებული მიდგომებით და არსებითად განსხვავებული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. აღიარების ტიპური შემთხვევების აღწერა შეიძლება გახდეს კარგი დამხმარე საშუალება აღიარების პრაქტიკაში

თანამიმდევრულობის დაცვის მიზნით.

განმცხადებლისთვის ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი გარკვეულწილად გართულებულია. ერთი მხრივ, ეს ინფორმაცია უჩვენებს განმცხადებელს თუ რეალურად რას უნდა მოელოდეს და ეხმარება მათ განაცხადის ჩამოყალიბებაში. ის ასევე ეხმარება განმცხადებელს უფლებამოსილი ორგანოსგან მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობების განხილვაში. მეორე მხრივ, განმცხადებელმა შეიძლება არასწორად გაიგოს ტიპური შემთხვევები და ისინი განიხილოს, როგორც სამართლებრივი პრეცედენტი თავის კვალიფიკაციის "ავტომატური" აღიარებისათვის. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ტიპური შემთხვევების შესახებ განმცხადებლისთვის გადაცემულ ინფორმაციას თან ახლდეს მკაფიო განმარტებები ამ ინფორმაციის ფუნქციაზე და იმის ხაზგასმით, რომ ყველა შემთხვევაში ხორციელდება განაცხადის ინდივიდუალური შეფასება.

ინფორმაცია აღიარების მაძიებელ კვალიფიკაციაზე
პარაგრაფი 19

საძიებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:
(ა) აღიარების უფლებამოსილი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს;
(ბ) კვალიფიკაციის გამცემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელს ან/და აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოებს ამ კვალიფიკაციის შესახებ, ისევე როგორც ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია (მაგ., ინფორმაცია კვალიფიკაციების სტრუქტურის შესახებ, სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი და სხვა). საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ კვალიფიკაციის შინაარსის აღწერის მიზნით შემუშავებული შესაბამისი ინსტრუმენტები, ისეთი როგორიცაა ევროკავშირის, იუნესკო/ევროსაბჭოს დიპლომის დანართი და ინფორმაცია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესახებ, როგორიცაა ECTS-ი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულება შეიძლება შემოიფარგლოს განმცხადებლის ან/და აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნაზე რეაგირებით.
(გ) აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოები პასუხისმგებლები არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უცხოური კვალიფიკაციებისა და განათლების სისტემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება-განახლებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ განმცხადებელს უნდა მიაწოდოს სრულყოფილი ჩამონათვალი იმ ინფორმაციისა და დოკუმენტების შესახებ, რომელიც აუცილებელია შეფასების განსახორციელებლად. უფლებამოსილმა ორგანომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოითხოვოს დამატებით ინფორმაცია, რომელიც არაა მითითებული ჩამონათვალში და ამ ინფორმაციის მოთხოვნა არ შეიძლება გახდეს განხილვის პროცესის ვადების გადადებისა და განხანგრძლივების მიზეზი. განმცხადებელი, ისევე როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია წარადგინოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.

პარაგრაფი 20

"საბაზო დოკუმენტი" ესაა ინსტრუმენტი:
- აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის, შეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ლტოლვის საგანმანათლებლო გამოცდილების რეკონსტრუქცია;
- ლტოლვილისათვის, დაადასტუროს მისი აკადემიური მიღწევები შეფასების ისეთ ორგანოებთან, როგორიცაა უნივერსიტეტი, დამსაქმებელი, რათა მიიღოს დაშვება შემდგომი სწავლის გაგრძელების ან შესაფერისი დასაქმების მიზნით.

ლტოლვილის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების, ასევე სხვა პირების, რომელთაც სერიოზული მიზეზის გამო არ შეუძლიათ დოკუმენტურად დაადასტურონ კვალიფიკაცია, განაცხადები განიხილება ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

“საბაზო დოკუმენტი” თავისთავად არ არის შეფასება, ესაა აკადემიური მიღწევების ავტორიტეტული აღწერა ან რეკონსტრუქცია, რომელიც უკავშირდება ხელმისაწვდომ დოკუმენტებსა და დამატებით მტკიცებულებებს.

“საბაზო დოკუმენტი” ესაა:
1. განმცხადებლის მიერ მითითებული საგანმანათლებლო გამოცდილების მიმოხილვა ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტითა და დამატებითი მტკიცებულებებით;
2. ჩამონათვალი, რომელიც დაფუძნებულია დიპლომის დანართის მოდელზე, რომელსაც იყენებს აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო უფრო მეტი შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად.

მიმოხილვის მაგალითი

საგანმანათლებლო გამოცდილება	
კვალიფიკაცია	მტკიცებულება
საშუალო განათლება	დიპლომი
უმაღლესი განათლება - პირველი საფეხური	სტუდენტის ბილეთი
	+ პირველი წლის ტრანსკრიპტი
უმაღლესი განათლება - მეორე საფეხური	არ არსებობს საგანმანათლებლო დოკუმენტი, მაგრამ
	+ მასწავლებლის განცხადება
	+ შრომითი ხელშეკრულება
	+ არაფორმალური და ინფორმალური განათლების მტკიცებულება

საფასური
პარაგრაფები 21-22

საფასური შეიძლება გახდეს დაბრკოლება აღიარებისათვის. თუ უცხოური კვალიფიკაციების შეფასება არ შეიძლება განხორციელდეს უფასოდ, მაშინ საფასური უნდა იყოს რაც შეიძლება დაბალი. უნდა გავიხსენოთ, რომ აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოთხოვნილი საფასური არის დოკუმენტების თარგმნასა და დამოწმებაზე გაწეულ დანახარჯზე დამატებული ხარჯი. წინამდებარე რეკომენდაციის დებულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო პირებს საფასურის შემოღების მზარდი ტენდენცია ახასიათებთ.

საფასურის დაწესების პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის რეგიონში. შეუძლებელია საფასურის მისაღები დონის ზუსტად განსაზღვრა, ვინაიდან გასათვალისწინებელია ისეთი ადგილობრივი პირობები, როგორიცაა ცხოვრების პირობები, ხელფასის დონე და სტუდენტთა ხელშეწყობის პირობები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში საფასური შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზედმეტად მაღალი. მაგალითად, უცხოური კვალიფიკაციის შეფასების საფასური არაგონივრულია თუ ის საჯარო სექტორში საშუალო თვიური ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

თარგმანა
პარაგრაფი 23

ინფორმაციისათვის წაყენებული მოთხოვნები ყურადღებით უნდა განვიხილოთ იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელზე გადადის ამ მოთხოვნების შესრულების ტვირთი. ეს განსაკუთრებით შეეხება დოკუმენტების ავთენტურობის დადგენასა და თარგმნას, რაც როგორც წესი დიდ დროს მოითხოვს და ძვირადღირებულია. ავთენტურობის მოთხოვნის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ პატიოსანი განმცხადებლისათვის ტვირთის შემსუბუქების აუცილებლობა და გაყალბებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციის საჭიროება. შემოთავაზებულია, რომ უმეტეს შემთხვევებში საკმარისია ავთენტურობის მოთხოვნა მხოლოდ ძირითადი დოკუმენტებისათვის. კერძოდ,

როგორიცაა კვალიფიკაცია, ტრანსკიპტი და დაბადების მოწმობა. ასევე უნდა განვიხილოთ ორიგინალის მაგივრად დამოწმებული ასლების მოთხოვნის საკითხიც. მნიშვნელოვანია, განმცხადებლისათვის ყველა მოთხოვნა მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული.

დოკუმენტების თარგმნის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე უნდა გავითვალისწინოთ მისი მხოლოდ ძირითად დოკუმენტებზე გავრცელების საკითხი. მაგალითად, განმცხადებლისთვის არაა აუცილებელი წარადგინოს კურიკულუმის ან სხვა აკადემიური დოკუმენტების დეტალური თარგმანი. განხილვას ექვემდებარება ასევე თარგმნის ავტორიზებული მთარგმნელის მიერ შესრულების საკითხიც. იქ სადაც ასეთი პრაქტიკა არსებობს, აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანომ განმცხადებელს უნდა გადასცეს მისთვის მისაღები მთარგმნელების სია. აუცილებელია იმის განხილვაც თუ რომელი დოკუმენტების მიღებაა შესაძლებელი თარგმნის გარეშე. ეს შეიძლება შეეხოს ფართოდ გავრცელებულ ენებზე გამოცემულ დოკუმენტებს. ენებს, რომლებიც ლინგვისტურად ახლოსაა მიმღები ქვეყნის ენასთან, მიმღებ ქვეყანაში ფართოდ გამოყენებულ ენას და/ან ენას, რომელსაც ფლობენ უფებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები.

პარაგრაფი 24

მიზეზი თუ რატომ არ უნდა ითარგმნოს უცხოური კვალიფიკაციის სახელწოდება, არის ის, რომ თარგმნა ამ შემთხვევაში გულისხმობს შეფასებას და ასეთი შეფასება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ. დიპლომის დანართი, ისევე როგორც კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემა შემუშავდა კვალიფიკაციის შინაარსის განმარტების მიზნით, მისი (კვალიფიკაციის სახელწოდების) თარგმნისა და შეფასების გარეშე.

ტრანსლიტერაცია გულისხმობს ერთი ანბანიდან ან დამწერლობის სისტემიდან ბგერის გადატანას მეორე ანბანსა ან დამწერლობის სისტემაში. მაგალითად, კირილიცაში დაწერილი სიტყვის გადატანა/გადაცემა ან იაპონურ მახასიათებლებში ან ლათინურ ანბანში. ტრანსლიტერაცია საშუალებას აძლევს მკითხველს, რომლისთვისაც ნაცნობი არაა ეს ანბანი ან დამწერლობის სისტემა განახორციელოს სიტყვის / გამოთქმის იდენტიფიცირება მოცემული ენიდან და გამოიყენოს ტრანსლიტერაციის სტანდარტული სისტემა, სადაც ეს შესაძლებელია.

დოკუმენტების ავთენტურობის გადამოწმება
პარაგრაფები 25-28

ყალბი დოკუმენტების პრობლემა სულ უფრო სერიოზული ხდება. ამდენად, ხაზი უნდა გავუსვათ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ავთენტურობის, ისევე როგორც თავად განმცხადებლის იდენტურობის გადამოწმების საჭიროებას. ამავდროულად, უნდა შევინარჩუნოთ ბალანსი გადამოწმების საჭიროებასა და განმცხადებლების უმეტესობაზე, რომლებმაც წარადგინეს ავთენტური დოკუმენტები, გაუმართლებელი ტვირთის გადატანაზე. განმცხადებლებისადმი ასეთი დამოკიდებულება უნდა დაეფუძნოს საბაზო იურიდიულ პრინციპს, რაც გულისხმობს რომ პირი "უდანაშაულოა, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება".

ამასთან, აუცილებელია აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოს მივცეთ საშუალება მოითხოვოს ავთენტურობის დამადასტურებელი სერიოზული მტკიცებულებები, როგორიცაა დოკუმეტის ორიგინალის წარდგენა იმ შემთხვევებში როცა არსებობს ეჭვი სიყალბეზე. სხვა შესაძლებლობაა ორიგინალური ხელმოწერის ან/და ინსტიტუციის შტამპის დამოწმებული ასლის მოთხოვნა. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სწრაფი რეაგირება უნდა მოახდინონ დამოწმების მსგავს მოთხოვნაზე და რაც, თუ შესაძლებელია, უნდა გაკეთდეს საფასურის გარეშე ან მისაღებ ფასად.

არსებობს დოკუმენტების გადამოწმებასთან დაკავშირებული ზოგიერთი კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს დოკუმენტების სრულ ლეგალიზაციას და რომელიც თარიღდება იმ პერიოდით, როდესაც საერთაშორისო კომუნიკაცია და ვერიფიკაცია/გადამოწმება იყო ძალიან გართულებული. იმ პერიოდისათვის ეს

კანონები გამართლებული იყო, თუმცა ამჟამად არსებობს დოკუმენტების გადამოწმების უფრო უკეთესი და ეფექტიანი გზები უფლებამოსილ ორგანოებთან და დოკუმენტის გამცემ უსდ-თან პირდაპირი კონტაქტების მეშვეობით. ამდენად, ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია გადახედონ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობას ან/და მოქმედ პრაქტიკას დოკუმენტების ავთენტურობის დადგენასთან დაკავშირებული წესების გამარტივებისა და მოდერნიზების თვალსაზრისით.

V. შეფასების კრიტერიუმები

პარაგრაფები 29-31
ინსტიტუციის სტატუსი

კვალიფიკაციები არ იქნება შესაფერისად შეფასებული თუ არ გავითვალისწინებთ კვალიფიკაციის გამცემ ინსტიტუციას. ამავდროულად ეროვნული კანონმდებლობა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკა მრავალფეროვანია. შესაბამისად ინსტიტუციიდან მიღებული ინფორმაციის სახეებიც განსხვავებულია. ლისაბონის აღიარების კონვენციის VIII განყოფილება განსაზღვრავს ინფორმაციის იმ სახეებს, რომელის წარდგენის უზრუნველყოფაც ევალებათ კონვენციის მხარეებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ფორმალური შეფასების სისტემები ისევე როგორც მოცემულია ინფორმაციის სახეები კონვენციის მონაწილე იმ მხარეებისათვის, რომელთაც არა აქვთ ცამოყალიბებული ამგვარი სისტემები. იმ ქვეყნებში სადაც არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები ან საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოები, ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც ინფორმციის მნიშვნელოვანი წყარო.

იუნესკო/ევროსაბჭოს "ტრანსნაციონალური განათლების საუკეთესო გამოცდილების კოდექსი" განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება ტრანსნაციონალური განათლების განმახორციელებელი შესაბამისი ინსტიტუცია ან ორგანიზაცია და ამ პრინციპების გამოყენება აუცილებელია ამ კვალიფიკაციების შეფასების დროს. აღნიშნულის მსგავსად, ერთობლივი ხარისხების შეფასებისას უნდა გამოვიყენოთ რეკომენდაციები ერთობლივი ხარისხების აღიარების შესახებ.

ინდივიდუალური კვალიფიკაციის შეფასება
პარაგრაფი 32

არსებობს პირდაპირი კავშირი უცხოური კვალიფიკაციის შეფასებასა და კვალიფიკაციისათვის აღიარების ძიების მიზანს შორის. მაგალითად, მოცემული კვალიფიკაცია შეიძლება შესაბამისი იყოს სწავლის გაგრძელებისათვის, მაგრამ არა დასაქმებისათვის მოცემულ დონეზე და პირიქით მოცემული კვალიფიკაცია შეიძლება ადეკვატური იყოს დასაქმებისთვის და არა სწავლის გაგრძელებისთვის მაგ., სადოქტორო დონეზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საქმე ეხება კვლევით კომპონენტს, დამოუკიდებელი თესზისის დაწერას ან სხვა არსებით დამოუკიდებელ სამუშაოს, რაც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული უცხოურ კვალიფიკაციაში და ასეთი კომპონენტის არსებობა არის მიმღებ ქვეყანაში სადოქტორო დონეზე დაშვების მოთხოვნა. ეს გულისხმობს, რომ აღიარების დოკუმენტმა მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს რა მიზნებისთვისაა ვალიდური/ვარგისი უცხოური კვალიფიკაცია და განმეორებითი შეფასება იქნება საჭირო თუ აღიარების ძიება ხდება სხვა მიზნებისათვის.

კვალიფიკაციები გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:
(ა) ზოგადი დაშვება უმაღლეს განათლებაში;
(ბ) შეზღუდული დაშვება უმაღლეს განათლებაში (მაგ., დაშვება შესაძლებელია მხოლოდ განათლების სისტემის გარკვეულ ნაწილში)
(გ) ზოგადი დაშვება მოცემულ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად (როგორიცაა სადოქტორო დონე ან მეორე საფეხური);
(დ) შეზღუდული დაშვება მოცემულ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად;
(ე) დაშვება პროფესიულ მომზადებაში;

(ვ) ზოგადი დაშვება შრომის ბაზარზე (მად., მოცემული დონის კვალიფიკაცია დასაქმების ფართო შესაძლებლობებით);
(ზ) დაშვება რეგულირებად პროფესიებზე;

უცხოური კვალიფიკაციების აღიარებისათვის გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების რამდენიმე მაგალითი:
(ა) უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ეროვნული კანონები და რეგულაციები;
(ბ) დასაქმების შესახებ ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები მ.შ. კანონები და რეგულაციები რეგულირებადი პროფესიების შესახებ;
(გ) ევროსაბჭოსა და იუნესკოს კონვენცია;
(დ) ევროსაბჭოსა და იუნესკოს რეკომენდაციები და საუკეთესო გამოცდილების კოდექსი;
(ე) ევროკავშირის დირექტივები, მ.შ. რეგულირებადი პროფესიების შესახებ;
(ვ) ევროკავშირის სხვა წესები და რეგულაციები, მაგ., ევროკავშირის განათლების პროგრამის ფარგლებში, როგორიცაა ერაზმუს-მუნდუსი და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროგრამა, მიღებული კვალიფიკაციების აღიარება;
(ზ) სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ცმოყალიბებული საერთაშორისო შეთანხმებები, მაგალითად, მინისტრების ჩრდილოევროპული საბჭო;
(თ) ქვეყნებს შორის დადებული ბილატერალური და მულტილატერალური ხელშეკრულებები;

ზემოაღნიშნულ ყველა ტექსტს არა აქვს ერთი და იგივე სამართლებრივი ღირებულება; თუმცა მათი შეფარდებითი სამართლებრივი სტატუსიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

პარაგრაფი 36

განსხვავება კვალიფიკაციების შინაარსში, სწავლის შედეგებსა და პროფილში შეიძლება შეეხოს მაგ., კვალიფიკაციის სპეციალიზაციის ხარისხს ან ზოგად განათლების ნაწილს, დამოუკიდებელი ნაშრომის მომზადების მოთხოვნებს(დისერტაცია, თეზისი), პრაქტიკის პერიოდს, ლაბორატორიულ გამოცდილებას ან მსგავს მოთხოვნებს (მაგ., სამედიცინო ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში) ან არააკადემიური ელემენტების ჩართვა (როგორიცაა სპორტი, სახელობო მომზადება).

ის რაც განისაზღვრება, როგორც "საფუძვლიანი განსხვავება", რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ნაწილობრივ აღიარებამდე ან არ-აღიარებამდე, დიდწილად დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რისთვისაც ხდება აღიარების ძიება. მაგალითად, აღიარება სწავლის შემდგომი გაგრძელების მიზნით ან დაშვება არარეგულირებად პროფესიულ საქმიანობაზე. ზოგიერთ კონტექსტში ფართო/ზოგადი განათლება უფრო სასურველია, მაშინ როდესაც სხვა კონტექსტში სპეციალიზაციის მაღალი ხარისხია მოთხოვნილი. სწავლის შედეგების მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი სახის:
(ა) სპეციფიკური დარგის ფართო ცოდნა;
(ბ) სპეციფიკურ დარგში კვლევის შედეგების გაგება;
(გ) პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარი;
(დ) სხვადასხვა ჯგუფებთან კომპლექსურ საკითხებზე ზეპირად და წერილობით ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
(ე) ფიქსირებულ სფეროში და რუტინული უნარებით კვლევითი შედეგების გამოყენების შესაძლებლობა;
(ვ) ახალ სფეროში და რუტინული უნარების ადაპტირება და კვლევითი შედეგების გამოყენების შესაძლებლობა;
(ზ) კვლევის განხორციელების უნარი;
(თ) კონფლიქტური თეორიებისა და პარადიგმების განსხვავების უნარი;
(ი) სპეციფიკური საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების უნარი ოპერაციულ, მენეჯმენტის ან ტექნოლოგიების განვითარების დონეზე.

უმაღლესი განათლების პირველი, მეორე და მესამე საფეხურის კვალიფიკაციების სწავლის შედეგების ზოგადი აღმწერები მოცემულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოში.

პარაგრაფი 37

პარაგრაფში ხაზგასმულია, რომ თუ აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო არ აღიარებს (მთლიანად ან ნაწილობრივ) უცხოურ კვალიფიკაციას, მისი მოვალეობაა დაასაბუთოს გადაწყვეტილება. ეს შესაბამისობაშია ლისაბონის აღიარების კონვენციის პრინციპებთან, ისევე როგორც პროფესიული აღიარების შესახებ ევროკავშირის დირექტივებთან. "იმ ქვეყნის შესაბამისი კვალიფიკაცია სადაც ხდება აღიარების ძიება" შეიძლება მითითებულ იქნეს განმცხადებლის მიერ ან თუ განმცხადებელს არა აქვს მითითებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, აღიარების მიზნების გათვალისწინებით.

პარაგრაფი 38

ფორმალური უფლებები არც მთლიანად განსხვავდება, მაგრამ არც მთლიანად იდენტურია იმ მიზნებისათვის რისთვისაც ხდება აღიარების ძიება. კვალიფიკაციის მეშვეობით შეძენილი ფორმალური უფლებით შეიძლება იყოს მაგ., უმაღლეს განათლებაში დაშვების უფლება, უფლება სადოქტორო დონეზე დასაშვებად, მოცემული წოდების გამოყენების უფლება, პროფესიულ აღიარებაზე განაცხადის წარდგენის უფლება. ეს უკანასკნელი შეიძლება უმეტეს შემთხვევაში დაექვემდებაროს ისეთ არასაგანმანათლებლო მოთხოვნას, როგორიცაა პრაქტიკის პერიოდი (მაშინ როდესაც ეს განიხილება როგორც უფრო განსხვავება, ვიდრე საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი) ან ეროვნულ დონეზე რეზიდენტურა ან ენის ფლობის მოთხოვნები.

პროფესიული მიზნებისათვის უცხოური კვალიფიკაციების შეფასება ექვემდებარება წინამდებარე რეკომენდაციებს იმდენად რამდენადაც კვალიფიკაციით დადასტურებულ ცოდნისა და უნარების შეფასება ხორციელდება არარეგულირებადი პროფესიებისა და შრომის ბაზრისათვის.

ურთიერთნდობის სულისკვეთების გათვალისწინებით, რეკომენდაციები გვთავაზობს, რომ როდესაც კვალიფიკაციის მფლობელს აქვს გარკვეული ფორმალური უფლებები თავის ქვეყანაში, შეფასებამ უნდა შეაფასოს აძლევს თუ არა ეს კვალიფიკაცია მის მფლობელს შესადარ უფლებებს მიმღებ ქვეყანაში. ამასთან, ვაცნობიერებთ, რომ ეროვნული პრაქტიკა კვალიფიკაციებისათვის ფორმალური უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განსხვავდება.

პარაგრაფი 39

კვალიფიკაცია ადასტურებს გარკვეულ პერიოდში შეძენილ გარკვეულ კომპეტენციას. კვალიფიკაციის ფასეულობა დროთა განმავლობაში შეიძლება შემცირდეს ან მთლიანად დაიკარგოს. ეს შესაძლებელია მოხდეს იმის გამო, რომ კვალიფიკაციის მფლობელი არ ახორციელებდა შესაბამის საქმიანობას და ამდენად, მისი კომპეტენციები მოძველდა ან შესაბამის სფეროში მნიშვნელოვანი ახალი ცოდნა შეიქმნა და კვალიფიკაციის მფლობელი არ ფლობს ამ სიახლეებს. რა ზომითაა კვალიფიკაცია მოძველებული დამოკიდებულია განათლების შესაბამის სფეროზე. ძველი კვალიფიკაციების აღიარება ამდენად, შეიძლება პრობლემურიც კი იყოს და ამ პრობლემისათვის სტანდარტული გადაწყვეტილება არ არსებობს. ამასთან, ეს პრობლემა არ შემოიფარგლება უცხოური კვალიფიკაციებით. თუ მიმღებ ქვეყანაში ძველი კვალიფიკაციები ისევ აღიარებულია, მაშინ შესაბამისი ასაკის მსგავსი უცხოური კვალიფიკაციებიც უნდა იქნეს აღიარებული. ამასთან, თუ მიმღებ ქვეყანაში მისი კვალიფიკაციები განხილულია, როგორც მოძველებული და აღარაა აღიარებული, მაშინ მსგავსი უცხოური კვალიფიკაციებიც შესაბამი მიდგომით უნდა იქნეს განხილული.

პარაგრაფი 40

სწავლის ხანგრძლივობა არის შეფასების, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული კრიტერიუმი და გამოცდილება გვჩვენებს, რომ მას ყველაზე მარტივად ეთნხმებიან განმცხადებლები როცა ხდება ნაწილობრივი აღიარება ან აღიარებაზე უარისას. "სწავლის ხანგრძლივობის" კონცეფცია გარკვეულწილად

პრობლემურია, მართალია ზოგადად აღიწერება წლების ან სემესტრების ტერმინებით, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებები კვირეების რაოდენობას შორის, კვირაში სამუშაო საათებს შორის, ისევე როგორც ამ საათების საკონტაქტო, დამოუკიდებელ და სხვა აქტივობის(ლაბორატორია, პრაქტიკა) საათებად გადანაწილებას შორის. ამის გათვალისწინებით, არსებულმა საფუძვლიანმა განსხვავებამ შეიძლება შეამციროს ერთი შეხედვით სერიოზული სხვაობა "ხანგრძლივობაში" ან შეიძლება გაზარდოს სხვაობა თითქმის მსგავს "ხანგრძლივობებს" შორის. ამდენად, "სწავლის ხანგრძლივობა" არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხოური კვალიფიკაციის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად.

ზოგად პირობებში, სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვალიფიკაციის დონის საჩვენებლად. რამდენადაც უდრო მეტია სხვაობა სწავლების ხანგრძლივობას შორის, იმდენად საგულისხმოა, რომ ეს კვალიფიკციები არ იქნებიან ერთ დონეზე. კითხვა თუ რაში მდომარეობს საფუძვლიანი განსხვავება უნდა განვიხილოთ ასევე სწავლის შედეგებთან მიმართებაშიც. ხაზი უნდა გაესვას ასევე იმ ფაქტს, რომ სხვაობა სწავლის ხანგრძლივობას შორის არ უნდა ჩაითვალოს საფუძვლიან განსხვავებად და შეფასების პროცესიდან არც სხვა ფაქტორები უნდა გამოვრიცხოთ.

პარაგრაფი 41

პარაგრაფში ხაზგასმულია, რომ უცხოური კვალიფიკაციის შეფასებისას ფუკუსირება უნდა მოვახდინოთ ამ კვალიფიკაციაზე. წინა დონის განათლების გათვალისწინება უნდა იყოს გამონაკლისი და არა წესი. მაგ., იმ შემთხვევაში თუ თუ პირს უნდა აღიარების მიღება სადოქტორო ხარისხზე, განმცხადებლის სკოლის ატესტატი არ უნდა იყოს შეფასების ნაწილი. წინა დონის კვალიფიკაციები შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და შეფასება, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შემოიფარგლოს აღიარების მიზნით წარდგენილი კვალიფიკაციის წინა დონით.

პარაგრაფი 42
პარაგრაფი შეეხება იმ ძალისხმევას, რომლის მოლოდინიც უნდა ქონდეს უფლებამოსილ ორგანოს და შეფასების სხვა სააგენტოებს ინდივიდუალური შემთხვევების შეფასებისას. მათ უნდა გამოიყენონ თავიანთი პროფესიული უნარები და გაითვალისწინონ რელევანტური ლიტერატურა მ.შ. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები. უცხოური კვალიფიკაციების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სწავლის შედეგებს და არა თავად პროცესს (მაგ., საგანმანათლებლო პროგრამა რომლის ფარგლებშიც გაიცა კვალიფიკაცია).

VI. შეფასების შედეგი
პარაგრაფი 43

პარაგრაფში დამოწმებული მითითებები შეეხება დამატებით განათლებას, რომელიც შეიძლება განახორციელოს განმცხადებელმა, რათა გააუმჯობესოს საკუთარი შანსები მოგვიანებით აღიარების მისაღებად. აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო უნდა დაეხმაროს განმცხადებელს განსახორციელებელი ღონისძიებების ზუსტ განსაზღვრაში და სადაც შესაძლებელია განმცხადებელს მიუთითოს რელევანტურ ინფორმაციაზე ან უსდ-ს ან სხვა რელევანტური ორგანოს საკონტაქტო პირზე.

უცხოური კვალიფიკაციების შეფასების რეკომენდირებული პროცედურების მონახაზი

ქვემოთ მოცემულია უცხოური კვალიფიკაციების ან სწავლის პერიოდის შეფასების რეკომენდირებული პროცედურების სქემა. ის განზრახულია, როგორც შემოწმების შემაჯამებელი ჩამონათვალი. ქვემოთ მოცემული ნაბიჯების თანამიმდევრულობა პრაქტიკაში შეიძლება განსხვავდებოდეს ან ერთდროულად შეიძლება გადაიდგას რამდენიმე ნაბიჯი.

ნაბიჯი 1
განაცხადის ან დოკუმენტის მიღების შესახებ საბუთის გაცემა აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
საბუთის მიღების ხელწერილი;
პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ განმცხადებლისათვის ინფორმაციის მიწოდება.

გაგრძელება - ნაბიჯი 2.

ნაბიჯი 2
გადაამოწმეთ(ვერიფიკაცია), მოწოდებულია თუ არა ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი.
თუ არაა მოწოდებული: მოითხოვეთ დარჩენილი ინფორმაცია განმცხადებლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.
თუ მოწოდებულია: გაგრძელება - ნაბიჯი 3

ნაბიჯი 3
გადაამოწმეთ განმცხადებლის კვალიფიკაციის ავთენტურობა და ამ დოკუმენტის განმცხადებელზე გაცემის კანონიერება (ამ შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანომ შეიძლება მიმართოს კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს).
თუ არაა ავთენტური (მაგ., კვალიფიკაცია ყალბია): უარი აღიარებაზე
თუ ავთენტურია: გაგრძელება - ნაბიჯი 4.

ნაბიჯი 4
გადაამოწმეთ კვალიფიკაციის გამცემი ინსტიტუცია ან/და პროგრამა არის თუ არა აღიარებული, როგორც შესაბამისი განათლების სისტემის ნაწილი. ტრანსნაციონალური განათლების შემთხვევაში უნდა გადამოწმდეს კვალიფიკაციის გამცემი ინსტიტუცია ან/და პროგრამა აღიარებულია თუ არა მისი მშობლიური სისტემის მიერ ან/და შეესაბამება თუ არა იუნესკო/ევროსაბჭოს "ტარნსნაციონალური განათლების განხორციელების საუკეთესო გამოცდილების კოდექსით" განსაზღვრულ პრინციპებს.
თუ არ მიეკუთვნება შესაბამის სისტემას: აღიარება ჩვეულებრივ არ გაიცემა
თუ მიეკუთვნება სისტემას: გაგრძელება - ნაბიჯი 5.

ნაბიჯი 5
უცხოური კვალიფიკაციების შეფასება ითვალისწინებს:
(i) მიზანს, რისთვისაც ხდება აღიარების ძიება;
(ii) ფორმალურ რეგულაციებს:
(ა) ეროვნულ კანონმდებლობას
(ბ) საერთაშორისო კონვენციებს, დირექტივებს, რეკომენდაციებს, საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს და ა.შ.
(iii) მსგავს შემთხვევებზე არსებულ გამოცდილებას
(iv) კვალიფიკაციის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს აერთიანებს (i) - (iii) საკითხებს;
(v) სხვა საინფორმაციო ცენტრებიდან(ENIC), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს.

შეფასებამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:
(ა) არის თუ არა სწავლის შედეგებს შორის განსხვავება იმდენად საფუძვლიანი რომ

შეუძლებელია უცხოური კვალიფიკაციის სრულად აღიარება? თუ ეს ასეა,მაშინ შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული ან ნაწილობრივი აღიარება?
(ბ) არის თუ არა განსხვავება იმ საქმიანობებს შორის, რომლისთვისაც მომზადდა უცხოური კვალიფიკაცია და მიმღები ქვეყნის მსგავსი კვალიფიკაცია, იმდენად საფუძვლიანი, რომ შეუძლებელია უცხოური კვალიფიკაციის სრულად აღიარება? თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული ან ნაწილობრივი აღიარება?
(გ) არის თუ არა კვალიფიკაციის გამცემი პროგრამისა და მიმღები ქვეყნის მსგავსი კვალიფიკაციის პროგრამის ძირითად ელემენტებსა შორის განსხვავება იმდენად საფუძვლიანი, რომ შეუძლებელია უცხოური კვალიფიკაციის სრულად აღიარება? თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული ან ნაწილობრივი აღიარება?
(დ) არის თუ არა კვალიფიკაციის გამცემი პროგრამის ან ინსტიტუციის და მიმღები ქვეყნის მსგავსი პროგრამი ან ინსტიტუციის ხარისხის უზრუნველყოფას შორის განსხვავება იმდენად საფუძვლიანი, რომ შეუძლებელია უცხოური კვალიფიკაციის სრულად აღიარება? თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული ან ნაწილობრივი აღიარება?

ნაბიჯი 6
უცხოური კვალიფიკაციის შეფასების შესახებ საბუთის გაცემა (შეფასების შედეგი). ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით ზემოაღნიშნულმა შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი ფორმა:
(i) რეკომენდაცია სხვა ინსტიტუციას, რომელიც შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას;
(ii) გადაწყვეტილება;
(iii) ცნობა განმცხადებლისათვის ან ვისაც ეს შეეხება (მაგ., არსებული ან მომავალი დამსაქმებელი, უსდ და ა.შ)

თუ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება (i) or (ii): აღიარება გაცემულია და განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

თუ მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება: გადაწყვეტილების მიზეზ(ებ)ი მკაფიოდ უნდა განიმარტოს და განმცხადებელს ეცნობოს გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ.

განმცხადებელს შეუძლია:
(ა) მიიღოს ვერდიქტი;
(ბ) გაასაჩივროს ვერდიქტი.